გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 80

2024 წლის 13 მაისი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (ს/კ 218081590) 2023 წლის თებერვლიდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიში შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (ს/კ 218081590) 2023 წლის თებერვლიდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (ს/კ 218081590) 2023 წლის თებერვლიდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 4 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

საქართველო
ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ცენტრი"

ს/კ 218081590

GEORGIA
N.I.P. "THE CENTRE CARE OF
PUBLIC HEALTH OF GORI
MUNICIPALITY"

1400 გორი სტალინის ქ. №2
ტელ 0(370) 27-46-84, 27-46-85.
ელ. ფოსტა Gori.jandacva@gmail.com

1400 GORI, STALIN AVE 2
TEL: 0370) 27-46-84, 27-46-85.

N 39

22 აპრილი, 2024 წელი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით რაზმაძეს

ბატონო დავით,

თქვენი წერილის (15/04/2024 წლის N 21-21241068) პასუხად წარმოგიდგენთ ა (ა) ი პ „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" 2023 წლის თებერვლიდან 2024 წლის 1 აპრილამდე განვლილი პერიოდის მუშაობის ანგარიშს თანდართული დანართის სახით.

პატივისცემით,

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს
დირექტორი: მ. გიუნაშვილი

საქართველო
ა(ა)ი პ „გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ცენტრი"

ს/კ 218081590

GEORGIA
N.I.P. "THE CENTRE CARE OF
PUBLIC HEALTH OF GORI
MUNICIPALITY"

1400 გორი-სტალინის ქ. №2
ტელ 0(370) 27-46-84, 27-46-85.
ელ. ფოსტა Gori.jandacva@gmail.com

1400 GORI, STALIN AVE 2
TEL.: 0370) 27-46-84, 27-46-85.

ა.(ა).ი.პ. გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის
მუშაობის ანგარიში 2023 წლის 1 თებერვლიდან 2024 წლის 1 აპრილამდე

ა.(ა).ი.პ. გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში აგრძელებდ მუშაობას საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის N609 და 2023 წლის 29 დეკემბრის N 529 დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისათვის. კერძოდ, ეპიდსაწინააღმდეგო, იმუნიზაციის, პარაზიტული დაავადებების დროულ გამოვლენასა და მათ ლიკვიდაციაზე, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვაზე და ა.შ

ინფექციურ და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა შესახებ გორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში სულ შემოვიდა შეტყობინება 3865 შემთხვევაზე. ეპიდკვლევა ჩატარდა 178 მათგანზე. (მ.შ ენტეროჰემორაგიული ეშერიხიოზი 3 , ტულარემია 1, ბრუცელოზი 2, ბორელიოზი 10, ორსულთა სიფილისი 5, ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება 1, ჰანტავირუსული ინფექცია 1, ლეპტოსპიროზი 10, მწვავე A ჰეპატიტი2, მწვავე B ჰეპატიტი 12, ნოზოკომიური (საავადმყოფოს შიდა) ინფექციები 90. საანგარიშო პერიოდში მართვადი ინფექცია არ დაფიქსირებულა.

ტუბ კაბინეტიდან შემოსულია სულ სასწრაფო შეტყობინება 41 შემთხვევაზე, აქედან „მგბ + "იყო 21, „მგბ -" 19, ფილტვგარეშე ტუბერკულოზი 1. ყველა მათგანზე დროულად ჩატარდა ეპიდკვლევა, მოძიებული იქნა კონტაქტები სულ 79, მოხდა მათი რეფერალი ტუბ კაბინეტში აქტიურ/ლატენტურ ტუბერკულოზზე კვლევისთვის. კონტაქტების მოძიებისას დაფიქსირდა ტუბერკულოზის ერთი შემთხვევა (მამიდან შვილზე).

საანგარიშო პერიოდში ცხოველთა მიერ დაკბენა - დადორბლის 1694 შემთხვევა დაფიქსირდა (მ.შ პატრონიანით - 1120, მოხეტიალე ცხოველით 574, აქედან ძაღლი პატრონიანი იყო-816, მოხეტიალე(მაწანწალა)-421). სრული კურსი დაენიშნა 638 პირს, პირობითი - 1056-ს. ანტირაბიულ კაბინეტებს სულ გადაეცათ 4770 დოზა ანტირაბიული ვაქცინა და 110 დოზა ანტირაბიული იმუნოგლობულინი. ინფორმაცია ცხოველთა დაკბენა-დადორბვლის შესახებ ეცნობა სურსათის უვნებლობის ეროვნულ სააგენტოს. ადამიანებში ცოფის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 აგვისტოს N 356 დადგენილების თანახმად C ჰეპატიტის ელიმინაციასთან დაკავშირებით აქტიურად ვახორციელებდით ინტეგრირებულ სკრინინგს C ჰეპატიტზე, აივ ინფექციასა/შიდსსა და ტუბერკულოზზე, შემდგომ სკრინინგით იდენტიფიცირებული დადებითი შედეგის მქონე პირების რეფერალი ხდებოდა სამედიცინო დაწესებულებაში დიაგნოსტიკურ კვლევებსა და მკურნალობაში ჩართვის მიზნით. სულ საანგარიშო პერიოდში ჩვენს მიერ სკრინინგი ჩაუტარდა 1691 პირს, დადებითი იყო 8(ახალი

შემთხვევა), რომლებიც შემდგომი კონფირმაციული კვლევებისათვის გადამისამართდნენ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში.

2023 წლიდან კვლავ დავიწყეთ C ჰეპატიტზე სკრინინგით და/ან კონფირმაციით დადებითი პირების მიდევნება. კარდაკარ შემოვლით მოვიძიეთ პირები, რომელთაც (სწრაფი/მარტივი ტესტით) გამოუვლინდათ C ჰეპატიტზე დადებითი შედეგი და სკრინინგიდან 3 თვის განმავლობაში არ ჩაუტარებიათ აქტიური ინფექციის კვლევა (C ჰეპატიტის რნმ-ის ან „core" ანტიგენის განსაზღვრა სისხლში) ან და კონფირმაციით არიან დადებითები და არ არიან მკურნალობაში ჩართულები. 252 პირიდან მოვიძიეთ 156, რომელთაგან ნაწილი მკურნალობაშიც ჩაერთო.

851 შემთხვევაში ჩატარდა სიკვდილის არაიდენტიფიცირებულ მიზეზთა შემთხვევების კვლევა ვერბალური აუტოფსიის მეთოდით.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 15-49 წლის რეპროდუქციული ასაკის ქალის ერთი (რესპირატორული დესტრეს სინდრომით) და 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთი (ჩუტყვავილას გართულება) გარდაცვალების შემთხვევა.

49 მონიტორინგი ჩატარდა სამედიცინო სტსტისტიკური ინფორმაციის წარმოებაზე პირველად ჯანდაცვაში.

საქართველოში დიარეით მიმდინარე დაავადებების შემთხვევებისა და ეპიდაფეთქებების გამოვლენის, მათზე რეაგირებისა და პრევენციის გაძლიერების მიზნით მიმდინარე წლის ივნისის თვიდან ოქტომბრამდე ეპიდზედამხედველობა დავამყარეთ შპს ,,გორმედში'' სტაციონარულ და ამბულატორიულ მკურნალობაზე მყოფი ნებისმიერი ასაკის პაციენტებზე, ხდებოდა მათგან საანალიზო ნიმუშების აღება და დკსჯდე ცენტრის ლაბორატორიაში გადაგზავნა. სულ ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით აღებული იქნა 64 ნიმუში, გამომწვევის იდენტიფიკაცია მოხდა 9 შემთხვევაში. ჩვენს მიერ განხორციელდა ყველა შემთხვევის დეტალური შესწავლა. ეპიდკვლევებისას გამოვლინდა 2 ეპიდაფეთქება.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული იქნა Covid-19 სადიაგნოსტიკოდ ტესტირება ვირუსის დროულად გამოვლინების მიზნით. ანტიგენ ტესტირება სწრაფი ტესტით ჩაუტარდა 329 პაციენტს, აქედან დადებითი აღმოჩნდა 65. სამი თვის განმავლობაში ვიკვლევდით ჯანმრთელ კონტიგენტს PSR ტესტირებით, შედეგად 3 მოქალაქე აღმოჩნდა დადებითი.

პარაზიტოლოგიური კაბინეტში 2023 წლის წლის თებერვლის თვიდან შემოსულია სულ 1169 საანალიზო ნიმუში. კვლევის შედეგად ენტერობიოზი აღმოჩნდა 382 შემთხვევაში, ასკაროდოზი 144, შერეული ინვაზია(ენტერობიოზი-ასკარიდოზი) 62, ტრიხოცეფალოზი-1 და ანალიზები ინვაზიის გარეშე 580.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა ხორციელდებოდა პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის მიხედვით. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებებსა და პირველად ჯანდაცვებს ვაქცინაციისათვის გადაეცათ: 3200 დოზა ბცჟ, 1060 ბ ჰეპატიტი ბ, 3685 - ჰექსა, 3208 - ტეტრა, 1930 -ტდ, 3612 - წწყ , 2097 როტა, 3619 - პნევმო და 1203 დოზა აპვ ვაქცინა. ვაქცინების მიწოდება ამცრელი კაბინეტებისთვის ,, ცივი ჯაჭვის''დაცვის პრინციპით იყო დროული.

2023 წლის 1 ოქტომბრიდან გრიპის სეზონის დადგომისთანავე აქტიურად დავიწყეთ სეზონული გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მუნიციპალიტეტში. სულ წლის ბოლომდე გაიხარჯა 2150 დოზა ვაქცინა, აქედან სჯდ ცენტრში განხორციელდა 1064 პირის აცრა.

2024 წლის მარტის თვეში ,,ცივი ჯაჭვის'' გამართული მუშაობისთვის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან უსასყიდლოდ გადმოგვეცა 8 მაცივარი, რომელთაგან 6 გადავეცით პირველად ჯანდაცვებს სოფლად (ბერშუეთი, დიცი, ფლავი, ყელქცეული, ძევერა, ნიქოზი)

ევროპის იმუნიზაციის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები მოსახლეობასთან სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლებთან იმუნიზაციის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო აცრებზე

პროფილაქტიკური სამსახურის მიერ მოხდა სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესწავლა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სილამაზისა და ესთეტიკის სალონებში. სულ ჩატარდა 95-ჯერ სასკოლო, 66-ჯერ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების და 104-ჯერ სილამაზის სალონის მონიტორინგი (48 შემთხვევაში მიეცათ გონივრული ვადა დარღვევების გამოსასწორებლად).

,,თამბაქოს კანონის'' აღსრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგი ჩაუტარდა 244 ობიექტს (მ.შ სავაჭრო - 55, სასწავლო - 14, სამედიცინო - 17, სილამაზის სალონი - 25, საჯარო დაწესებულება - 14, საზოგადოებრივი ტრანსპორტი - 55, სასტუმრო - 15, სამასპინძლო დაწესებულება - 44, კინო-თეატრი-3, სტადიონი-2). მონიტორინგის შედეგები მობილური აპლიკაციის მეშვეობით გადაეგზავნა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს.

სისტემატიურად ხდებოდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო სახის შეხვედრები მოსახლეობასთან, მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს ვაწვდიდით პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებს.

საანგარიშო პერიოდში სამედიცინო დაწესებულებებიდან დროულად მოხდა სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის მიღება, დამუშავება და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისთვის გადაცემა.

პატივისცემით,
ა.(ა).ი.პ. ,,გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი''ს
დირექტორი: მ.გიუნაშვილი